

ინსტიტუტი ტექინფორმი

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1	Gogodze J., 2018. National Innovation Systems Archetypal Analysis.	American Journal of Theoretical and Applied Statistics, Vol. 7, No. 6, 2018, pp. 215-221	ISSN: 2326-8999 DOI: 10.11648/j.ajtas.20180706.13

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	ნ. ჩხაიძე. აბრეშუმის ქსოვილების წარმოება საქართველოში XIX-XX საუკუნეებში	„მეცნიერება და ტექნოლოგიები“. 2018 წ. №2 (728), გვ. 90-110	ISSN: 0130-7061
2	გ. გოგიჩაძე, ე. მისაბიშვილი, ც. ერაძე. ლენტი და სპუმავირუსების შესაძლო ონკოგენური პოტენციალის შესახებ.	„მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2018, №3 (729), გვ. 35-38	ISSN: 0130-7061

4.3*. კრებულები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISSN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. კოპალეიშვილი ნ. მახვილაძე თ. ჩუბინიშვილი ი. ბედინაშვილი ნ. ჩხაიძე მ. ლოდელიანი ფ. წოწკოლაური ვ. სარჯველაძე ნ. ჯავახაძე	ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრე) #19(31), 2018 ISSN: 1512-0775	სტუ, ინსტიტუტი ტექინფორმი	264 გვ.
2	მ. კოპალეიშვილი ნ. მახვილაძე თ. ჩუბინიშვილი ი. ბედინაშვილი	ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრე) #20(32), 2018 ISSN: 1512-0775	სტუ, ინსტიტუტი ტექინფორმი	236 გვ

ნ. ჩხაიძე მ. ლოდელიანი ფ. წოწკოლაური ვ. სარჯველაძე ნ. ჯავახაძე			
<p><u>ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრჟ)</u> ტექნიფორმში 2000 წლიდან გამოდის. ის ერთადერთი რეფერატული ჟურნალია საქართველოში, რომელიც თავს უყრის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს 100-ზე მეტი დასახელების პერიოდულ გამოცემებში ასახულ პუბლიკაციების რეფერატებს. რეფერატები დალაგებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორის მიხედვით. ჟურნალი ძირითადად პოლითემატურია. 2018 წელს მომზადდა ორი პოლითემატური ჟურნალი – ნომერი 19 და 20. მე-19 ნომერში ასახულია 27 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი, რეფერატების რაოდენობაა 534, მე-20 ნომერში ასახულია 31 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი, რეფერატების რაოდენობა კი – 417. ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრჟ) მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე, განთავსებულია ინტერნეტში ტექნიფორმის საიტზე. www.techinformi.ge/qrj.</p>			

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. კოპალეიშვილი ნ. მახვილაძე ე. პავლოვიჩი ი. ბედინაშვილი	სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკის სტანდარტიზაციის მდგომარეობა საქართველოში, ISSN 1987-7633	ტერმინოლოგიის საკითხები, III, 2018	თბ., ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ა. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი	9 გვ. (117-125)

6.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ფ. წოწკოლაური	Тенденции развития науки в Грузии	გ. Баку, Бакинский университет бизнеса, Международная Конференция – 3-4 Май, 2018

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულებების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
	<p>მიმართულება I: სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობის მონიტორინგისა და მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა.</p> <p>1.1. სამეცნიერო საქმიანობის აღმწერი ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების, ანალიზისა და გავრცელების, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტექნოლოგიური პროცედურების სრულყოფა (მოდერნიზაცია). (მე-2 ეტაპი, გაგრძელება)</p>	<p>2017-2019 წწ.</p>	<p>თ. ჩუბინიშვილი - ხელმძღვანელი ნ. მახვილაძე - პასუხისმგებელი შემსრულებელი ვ. სარჯველაძე - შემსრულებელი ნ. ჯავახაძე - შემსრულებელი თ. მაღლაკელიძე - შემსრულებელი ი. ქობულაშვილი - შემსრულებელი ა. ბერიძე - შემსრულებელი ა. ფაცაცია - შემსრულებელი ე. პავლოვიჩი - შემსრულებელი ე. მისაბიშვილი - შემსრულებელი ნ. ბაჩილავა - შემსრულებელი დ. გაბუნია - შემსრულებელი ნ. შოთაშვილი - შემსრულებელი მ. ლოღელიანი - შემსრულებელი</p>
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p>საანგარიშო წელს ტექნიფორმის სამოქმედო პროგრამის პირველი მიმართულების ფარგლებში გრძელდებოდა მუშაობა წინა პერიოდში დაწყებულ თემაზე. კერძოდ, ამ ეტაპის სამუშაოები ძირითადად ეხებოდა ორ საკითხს:</p> <ul style="list-style-type: none"> - კვლევითი პროექტების რეგისტრაციის სისტემის ფუნქციონირების მარეგულირებელი წესების შემუშავება და on-line რეჟიმში რეგისტრირების პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი კორექტირება; - საქართველოში წარმოებული სამეცნიერო კვლევების, მეცნიერთა პუბლიკაციების, ახალი ტექნოლოგიების და საინოვაციო წინადადებების მონაცემთა ბაზების შევსება-განახლება და მათ განთავსება ტექნიფორმის განახლებულ საიტზე. <p>პირველი მათგანი შეეხება სამეცნიერო კვლევითი პროექტების რეგისტრაციის სისტემის შექმნისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შევსებისათვის პირველადი ინფორმაციის მოძიება-მოპოვების საკითხებს.</p> <p>აქ უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზოგიერთი მონაცემთა ბაზისთვის პირველადი ინფორმაციის მოპოვება ადვილად ხორციელდება, (მაგალითად მონაცემები სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ), ინფორმაციის მოპოვება სამეცნიერო კვლევითი პროექტების შესახებ უაღრესად გაძნელებულია, თუმცა ქვეყანაში წარმოებული სამეცნიერო პროდუქციის ეს შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სამეცნიერო საქმიანობის მიმდინარეობისა და განვითარების ანალიზისათვის. საქმე იმაშია, რომ როგორც ტექნიფორმის მიერ არაერთხელ აღნიშნულა, საქართველოში სამეცნიერო სფეროში ჩატარებულ რეფორმების პროცესში არ განიხილებოდა და ახლაც არ განიხილება სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის საინფორმაციო შემადგენელი. კერძოდ, ისეთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა სისტემის მიმდინარე (არსებული) მდგომარეობის აღმწერი პირველადი ინფორმაციის ნაკადების ფორმირების, დამუშავების, კლასიფიცირების, მეორადი ინფორმაციის სინთეზისა და გავრცელების საკითხები. ეს ფაქტი განსაკუთრებით უარყოფითად აისახა ინფორმაციის იმ ნაწილის მოპოვებაზე, რომელიც აღწერს კვლევითი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების სახელმწიფო ბიუჯეტის ე.წ. ბაზური დაფინანსების ფარგლებში წარმოებულ კვლევით სამუშაოებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევითი პროექტების</p>			

აუცილებელი რეგისტრაციის on-line რეჟიმში ფუნქციონირებადი ელექტრონული სისტემის შექმნის მიზნით მიმდინარე სამუშაოები. ხსენებული სისტემა კვლევითი პროექტების რეგისტრაციასთან ერთად პერმანენტულად იძლევა კვლევითი პროექტების რეფერატულ-ბიბლიოგრაფიულ აღწერას, ანუ კვლევების მონაცემთა ბაზის შემავსებელ პირველად ინფორმაციას.

2018-19 წლების სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია კვლევითი პროექტების ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის საექსპლოატაციოდ გამართვა. რეგისტრაციის სისტემის მუშაობაში ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ჩართულია სპეციალისტების (მეცნიერების, ინჟინერ-პროგრამისტების, ოპერატორების) სამი ჯგუფი: პირველადი მონაცემების მფლობელები (განსახილველი კვლევითი პროექტების შემსრულებლები); ელექტრონული რეგისტრაციისა და მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორები; მონაცემთა ბაზის მომხმარებლები.

ამჟამად სამივე ჯგუფისთვის, მათი ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად, შემოწმებულია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მუშაობს საცდელ რეჟიმში. კერძოდ: პირველადი მონაცემების მფლობელების (პროექტის შემსრულებლების) ფუნქციაა კვლევითი პროექტის აღმწერი მონაცემების დაფიქსირება პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემაში. ეს პროცედურა წარმოადგენს კვლევითი პროექტის სარეგისტრაციო განაცხადის შეტანას და მის რეესტრში დაფიქსირებას. მონაცემთა შეტანა სისტემაში წარმოებს ინტერაქტიულ რეჟიმში. ელექტრონული რეგისტრაციისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორთა ჯგუფი სარეგისტრაციო სისტემაში ჩატვირთულ პროექტს ანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს და პაროლს, რომლის საშუალებით ერთი თვის განმავლობაში პროექტის ავტორებს შეეძლებათ დარეგისტრირებული პროექტის რედაქტირება. ასევე ახორციელებს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ზედამხედველობას სისტემაზე და პასუხისმგებელია მის გამართულ მუშაობაზე, აწარმოებს მონაცემთა ბაზაში შემავალი დოკუმენტების აღრიცხვას. საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრატორთა ჯგუფი ახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფის კორექტირებას, ეწევა მომხმარებელთა კონსულტირებას. ინფორმაციის მომხმარებლები, რომლებიც მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ძიებისა და მიღების პროცედურებს ახორციელებენ, მონაცემთა ბაზასთან მომუშავე სპეციალისტებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. ბაზაში ინფორმაციის ძიება ხელმისაწვდომია ინტერნეტის ნებისმიერი მომხმარებლისთვის თავისუფალ რეჟიმში.

კვლევების რეგისტრაციის სისტემის საცდელი ექსპლოატაციის მიზანია ამ სისტემის ფუნქციონირების სრული ციკლის შემუშავებული პროგრამული საშუალებების და შესაბამისი სამოქმედო ინსტრუქციების ქმედითუნარიანობის და ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტირება. ამ სამუშაოთა ინფორმაციულ წყაროდ ძირითადად შერჩეული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე და ზოგიერთი დასრულებული სამეცნიერო პროექტების ბიბლიოგრაფიულ-რეფერატული მონაცემები. ასევე სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტების იმ ინსტიტუტების კვლევითი პროექტები, საიდანაც შესაძლებელი იყო შესაბამისი ინფორმაციის მიღება. ამის გარდა ტექნიკური ელექტრონულ ფონდებში არსებული (ადრე დეპონირებული) პროექტები. ამჟამად, ბაზაში დაფიქსირებულია სულ 35 ინსტიტუტის 1573 პროექტი.

ტესტირების პროცესში აღმოჩნდა, რომ მოპოვებული ინფორმაციის მონაცემები შეიცავდნენ მთელ რიგ ხარვეზებს: რეფერატები არ აკმაყოფილებენ მათი ფორმის და შინაარსის წარდგენის მიღებულ სტანდარტებს, ხშირად პროექტების რეფერატები შეიცავენ ფორმულებსა და მათი წარმოდგენის ვარიანტებს; აგრეთვე ხშირია საკვანძო სიტყვების, სამეცნიერო სამუშაოების დასახელებების ინგლისური ვარიანტის, კვლევითი სამუშაოს სამეცნიერო მიმართულების კოდის არარსებობა და ა.შ. აღნიშნულ ხარვეზებს შეამცირებს პროგრამის on-line რეჟიმში ამუშავება, რადგან რეგისტრაციის ონლაინ რეჟიმი ასეთი ხარვეზებით ჩატვირთულ პროექტს სისტემაში არ დააფიქსირებს და მოითხოვს პროექტის წარმდგენისაგან

(ავტორებისგან) ინფორმაციის კორექტირებას. დაზუსტდა კვლევითი პროექტის რეგისტრაციის on-line რეჟიმში ჩატარების ინსტრუქცია. რეგისტრირების ჩატარების რედაქტირებული ინსტრუქცია შეიცავს შესაბამის მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ტესტირების საფუძველზე კორექტირებული იქნა (დაიხვეწა) სარეგისტრაციო კვლევითი პროექტების აღმწერი ფორმატის სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული შემავალი ინფორმაციის ფორმირების წესი. ამავე დროს აგრეთვე დაიხვეწა გამომავალი ინფორმაციის მიღების პროცედურა და რეზულტატის წარმოდგენის სტრუქტურა და ფორმა; შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე რეგისტრაციის, მონაცემთა ბაზის შევსება-განახლების, ინფორმაციის ძიების, გამომავალი დოკუმენტების ფორმირების პროგრამულ უზრუნველყოფაში. ჯერ-ჯერობით არ ხდება ინსტიტუტების კვლევითი პროექტების დარეგისტრირება და შესაბამის მონაცემთა ბაზის შევსება თვით ინსტიტუტების მხრიდან. ამ ეტაპზე საცდელად მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში ტექნიკორმის მიერ ჩატარებულ იქნა კვლევითი პროექტების რეგისტრაციის პროცედურის და შესაბამის მონაცემთა ბაზის პრეზენტაცია.

ამჟამად გრძელდება 2017-18 წლების კვლევითი სამუშაოების მოპოვებული ბიბლიოგრაფიულ-რეფერატულ მონაცემების დამუშავება-კორექტირება მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, მიმდინარეობს მუშაობა რეფერატების კორექტირებაზე ან შედგენაზე, საკვანძო სიტყვებზე, კვლევის მიმართულების დაზუსტებაზე და სხვ.

ამ მიმართულების უახლოესი ამოცანებია:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ავტორებისთვის on-line რეჟიმში რეგისტრირების შემუშავებული ინსტრუქციის გამარტივება-დახვეწა;
- სამეცნიერო კვლევითი პროექტების აუცილებელი რეგისტრაციის დებულების საფუძველების შემუშავება, რომელიც სახელმწიფო (საუნივერსიტეტო) დონეზე დაარეგულირებს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კვლევების აუცილებელი რეგისტრაციის პროცესს (სახელმწიფო დონეზე რეგისტრაციისათვის - განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული აქტისათვის, საუნივერსიტეტო დონეზე - რექტორის შესაბამისი განკარგულებისათვის);
- დასრულებული სამეცნიერო სამუშაოების ანგარიშების შეგროვების და სადეპოზიტო ბიბლიოთეკის შექმნის (ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების შენახვა) ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავება;
- სამეცნიერო საზოგადოებისთვის დასრულებული კვლევითი პროექტების რეგისტრაციის ინსტრუქციისა და კვლევების რეზულტატების შესახებ ინფორმაციის გავრცელება (სასწავლო სემინარების ჩატარება, ინსტრუქციის გამოცემა, ინტერნეტში განთავსება).

საანგარიშო წლის მეორე საქმიანობას წარმოადგენს **საქართველოში წარმოებული სამეცნიერო კვლევების, მეცნიერთა პუბლიკაციების, ახალი ტექნოლოგიების და საინოვაციო წინადადებების მონაცემთა ბაზების ფორმირება, შევსება-განახლება და მათი განთავსება ტექნიკორმის განახლებულ საიტზე.**

2018 წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა დაკავშირებული საქართველოში მიმდინარე და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მონაცემთა ბაზასთან აღწერილია ზემოთ. საანგარიშო წელს გრძელდებოდა საქართველოში გამოცემული პუბლიკაციების მონაცემთა ბაზის აქტუალიზაციის სამუშაოები. ამჟამად ბაზაში განთავსებულია ქართულ რეფერატულ ჟურნალში - ქრე 2008-2018 წლებში საქართველოს სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული ყველა 14985 პუბლიკაციის ბიბლიოგრაფიულ-რეფერატული აღწერა ქართულ და ინგლისურ ენებზე. მონაცემთა ბაზა განთავსებულია ტექნიკორმის საიტზე. ამჟამად მიმდინარეობს 2000-2007 წლების პუბლიკაციების მონაცემთა განთავსება ბაზაში.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა და ამჟამადც მიმდინარეობს **ახალი ტექნოლოგიების და საინოვაციო წინადადებების მონაცემთა ბაზის** შევსება ქართული და ინგლისურენოვანი ვერსიებით.

დღეისათვის ბაზა შეიცავს 800-ზე მეტ ჩანაწერს. ამჟამად ეს ბაზა განთავსებულია ინსტიტუტის განახლებულ ინტერნეტ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ინტერნეტ-მომხმარებელთათვის. გარდა ამისა, ქართველი სპეციალისტების, კვლევითი და სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების და საინოვაციო წინადადებების საქართველოში და უცხოეთში გავრცელების ხელშეწყობის, ასევე მათთვის საინტერესო ორგანიზაციებთან დაკავშირების მიზნით ინფორმაცია მათი ტექნოლოგიების და გამოგონებების შესახებ, ასევე ვრცელდება საზღვარგარეთის ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელებში. ტექნიფორმის მუშაობის ერთ-ერთი ტრადიციული მიმართულებაა გამოგონებლებისათვის ახალი ელექტრონული საინფორმაციო პროდუქციის - მონაცემთა ბაზების, კატალოგების, ცნობარების - შემუშავება და გავრცელება. მუშაობა ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდშიც მიმდინარეობდა და ამჟამადაც გრძელდება. ქართველი სპეციალისტების, კვლევითი და სხვა ორგანიზაციებისთვის საინტერესო უცხოეთის ორგანიზაციებთან დაკავშირების, ასევე მათი პროდუქციის უცხოეთში გავრცელების მიზნით, ტექნიფორმის განახლებულ ინტერნეტ-გვერდზე განთავსდა ინსტიტუტში შედგენილი **ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელებისა და ინოვაციების გავრცელების ხელშეწყობის ორგანიზაციების ელექტრონული კატალოგი**. აქ შესაძლებელია ორგანიზაციის მოძიება საქმიანობის, ადგილმდებარეობის და საკვანძო სიტყვის მიხედვით. მიმდინარეობს ახალი ორგანიზაციების (ქსელების, ცენტრების) მოძიება. 2018 წელს ამ ელექტრონული კატალოგის მეშვეობით საქმიანი ინფორმაცია გავრცელდა შემდეგი ორგანიზაციებისათვის: სტუ-ს სამეცნიერო, სასწავლო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“, თსუ-ს რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, თსუ-ს მიკროელექტრონიკისა და ნანოტექნოლოგიების ინსტიტუტი, თსუ-ს ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამუშაოები **ტექნიფორმის წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგის** შესაქმნელად. მოცემული სამუშაოს განსახორციელებლად ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინსტიტუტის წიგნადი ფონდის ხელახალი აღწერა საბიბლიოთეკო სტანდარტების დაცვით. ფონდის ხელახალ აღწერასთან ერთად, რაც მოითხოვს ყველა წიგნის ცალკე დამუშავებას, ხდება წიგნების განთავსება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში განახლებული სააღრიცხვო მონაცემებით. პერიოდული გამოცემები აღწერილია Excel-ფაილებში და წიგნადი ფონდის აღწერის დასრულებისას დაიწყება ამ ფონდის აღწერა, განლაგება შესაბამის თაროებზე და ელექტრონულ კატალოგში ასახვა.

2018 წელს ასევე გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს **მეცნიერ-ექსპერტთა მონაცემთა ბაზაზე**, იგი შეიცავს მონაცემებს მეცნიერების, ტექნოლოგიების და ბიზნესის სფეროებში წამყვანი სპეციალისტების შესახებ, რომლებსაც მოცემულ საკითხებში ექსპერტების როლის შესრულება შეუძლიათ. ქართული მეცნიერების და ტექნოლოგიური მიღწევების პოპულარიზაციის, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მიზნებისთვის მონაცემთა ბაზა ორ ენაზეა (ქართული და ინგლისური). ბაზაში მონაცემები სისტემატიზებულია ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.

მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზაში არსებული ჩანაწერების აქტუალიზაცია და მონაცემთა ბაზის შევსება ახალი ანკეტების საფუძველზე. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- საჭირო მონაცემების დაზუსტება, ინდექსირება, ინგლისურ ენაზე თარგმნა და შემოსული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში შეყვანა, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის, გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის, სტუ-ს და სტუ-სთან არსებული სსსც „ანალიზხელსაწყოს“ ახალი თანამშრომლების ანკეტების ჩათვლით.

- ექსპერტების სამეცნიერო პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიული სიების აქტუალიზაცია.

ამჟამად ბაზაში 135 ჩანაწერია.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	<p>მიმართულება I: სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობის მონიტორინგისა და მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა.</p> <p>1.1. მცირეტირაჟიანი და გამოუქვეყნებული სამეცნიერო შრომების აღრიცხვა, დეპონირების სისტემის შემუშავება, შესაბამისი სადეპოზიტო ფონდის შექმნა და მონაცემთა ბიბლიოგრაფიულ-რეფერატული ბაზის ფორმირება.</p>	2018-2019 წწ.	<p>თ. ჩუბინიშვილი - ხელმძღვანელი ნ. ჩხაიძე - პასუხისმგებელი შემსრულებელი ა. ბერიძე - შემსრულებელი მ. ლოღელიანი - შემსრულებელი</p>
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p>ბოლო ათწლეულების დაჩქარებულმა ტექნიკურ-ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში, სამეცნიერო კვლევით ცენტრებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მმართველ ორგანოებში, გამოიწვია უამრავი ცენტრალიზებულად არარეგისტრირებული, არაკომერციული, მცირედ ტირაჟირებული და ა.შ., მაგრამ ხშირად საჭირო და სასარგებლო ინფორმაციის შემცველი ლიტერატურისა და დოკუმენტების დაგროვება, რომელთაც რუხი ლიტერატურა და რუხი დოკუმენტები ეწოდა (Grey Literature, Grey Documents). რუხი ლიტერატურა წარმოადგენს ინფორმაციის ძნელად მისაწვდომ რესურსს, რომელიც, როგორც წესი, არ ვრცელდება კომერციული არხებით და არ წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს. რუხი ლიტერატურის მაგალითებია - მმართველობის სხვადასხვა სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების სხვადასხვა სახის დოკუმენტები, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების შრომები, დისერტაციები და მათი ავტორეფერატები, დეპონირებული სამუშაოები და სხვ.</p> <p>სულ უფრო მწვავედ დგება რუხი ლიტერატურის შეჩვენა-შეგროვების, დაკომპლექტების, აღრიცხვის, ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო ცენტრებში განაწილების, შენახვისა და შემდეგ დაინტერესებულ პირთათვის მიწოდების საკითხი.</p> <p>განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუხ ლიტერატურას, როდესაც საქმე ეხება მეცნიერების და ტექნიკის ყველა დარგის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თანამედროვე მდგომარეობის და შედეგების ამსახველ დოკუმენტებს: ჩატარებული კვლევების ანგარიშებს, კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების, თათბირების მასალებს, დისერტაციებს, საკონსტრუქტორო სამუშაოების ანგარიშებს და სხვ. საქართველოში ტექინფორმი წლების მანძილზე აწარმოებდა კვლევითი სამუშაოების ანგარიშების, სტატიების და სხვა რეცენზირებული მასალების დეპონირებას (მიზარებას შესანახად). მაგრამ ეს პროცესი შეესაბამებოდა ტერმინის პირდაპირ გაგებას - სამუშაოს ავტორს ეძლეოდა ცნობა, რომ მისი სამუშაო დეპონირებულია, ხოლო თვით სამუშაო საიმედოდ ინახებოდა „თაროზე“. თუ გათვალისწინებული იქნება ის გარემოება, რომ სამეცნიერო რუხი ლიტერატურა ქვეყანაში წარმოებული სამეცნიერო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილია, აუცილებელია მისი მხედველობაში მიღება სამეცნიერო საქმიანობის ანალიზისათვის საექსპერტო, სტატისტიკური, ბიბლიოგრაფიული, ბიბლიომეტრული თუ მეცნიერებათ-</p>			

მზომელობითი მეთოდების გამოყენებისას. დღეისათვის დეპონირების პროცესი უნდა გულისხმობდეს რუხი სამეცნიერო ლიტერატურის განთავსებას ელექტრონული ფორმით სადეპოზიტო ბიბლიოთეკაში, ხოლო მისი ბიბლიოგრაფიულ-რეფერატული აღწერის განთავსებას - დეპონირებული ლიტერატურის მონაცემთა ბაზაში გლობალურ საინფორმაციო ქსელში არაკომერციული გზით მასზე თავისუფალი წვდომისათვის. ამის რეალიზაციისათვის უნდა შემუშავდეს დეპონირების ელექტრონული სისტემა და მისი ინსტალირება ტექნიფორმში, რომელსაც გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და შესაძლებლობები.

სამეცნიერო სამუშაოების დეპონირების ძირითადი მიზანია:

- კვლევების და ექსპერიმენტების, კვლევის მეთოდების დეტალიზებული შედეგების გამოქვეყნება, რომელთა ფართო ტირაჟირება, მათი ვიწრო სპეციალიზაციის გამო, არ არის მიზანშეწონილი;
- მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევების სწრაფი გამოქვეყნება და გავრცელება სამეცნიერო წრეებისათვის მათ წარსადგენად.
- მიღწევების სამეცნიერო პრიორიტეტის დაფიქსირება.

საანგარიშო წელს ჩამოყალიბდა მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამეცნიერო სამუშაოების დეპონირების ელექტრონული სისტემა, განისაზღვრა პროექტის შესრულების ეტაპები, თითოეული ეტაპის შინაარსი და ამოცანები. შესრულდა სამუშაოები, დაკავშირებული დეპონირებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის შედგენილობასთან და ფორმებთან. ჩამოყალიბებულ იქნა ელექტრონული სადეპოზიტო ბიბლიოთეკის და ბიბლიოგრაფიულ - რეფერატულ მონაცემთა ბაზის შემავალი და გამომავალი ინფორმაციის ფორმატი და პარამეტრები, ჩანაწერების ველების რაოდენობა, შინაარსი და ტიპები, ბაზაში შეყვანის და ძებნის პროცედურები, რედაქტირების შესაძლებლობა და ა.შ., დეპონირებისათვის სამუშაოს წარმდგენთა (ავტორი ან ავტორის თანხმობით მომქმედი ორგანიზაცია) და დეპონირების ჩამტარებელი ორგანიზაციის ვალდებულებები და უფლებები. შეირჩა დეპონირებული სამუშაოების თემატური მიმართულებების კლასიფიკატორი. შემუშავდა მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დეპონირების ჩამტარებელი ორგანიზაცია.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	<p>მიმართულება I: სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობის მონიტორინგისა და მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა</p> <p>1.2. ღია წვდომის სისტემის საფუძველზე საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზებში ჩართვის ხელშეწყობა</p>	<p>2018-2019 წწ.</p>	<p>მ. კოპალეიშვილი - ხელმძღვანელი ლ. ჩოხანიანი - შემსრულებელი ი. ბედინაშვილი - შემსრულებელი ა. ბერიძე - შემსრულებელი</p>
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p>საქართველოს სამეცნიერო ჟურნალების უმრავლესობა ამჟამად გამოდის ბეჭდური ფორმით, თუმცა ბოლო</p>			

ხანებში შეიმჩნევა პუბლიკაციების გარკვეული ნაწილის ინტერნეტ-სივრცეში განთავსების მცდელობა. დღეისათვის არ არსებობს ელექტრონული სამეცნიერო გამოცემების ერთიანი სტანდარტი და რეგლამენტირებული სტრუქტურა. ამავდროულად სწრაფად იზრდება დამოუკიდებელი ელექტრონული ჟურნალების რიცხვი, ჩამოყალიბებულია ზოგადი მოთხოვნები სამეცნიერო ჟურნალის საიტის ინფრასტრუქტურის მიმართ.

საქართველოში ღია წვდომის სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის ხელშეწყობის მიზნით ტექნიკურმა ჩატარდა კვლევითი სამუშაო, რომლის ფარგლებში შესწავლილ იქნა სამეცნიერო პუბლიკაციების ინტერნეტ-სივრცეში განთავსების ფორმები, შერჩეულ იქნა ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის რეალიზაციის საშუალებები, შესწავლილ იქნა სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების პროცესის ცალკეული ეტაპის თანმიმდევრობა, ჩამოყალიბებულ და შედგენილ იქნა ამ ეტაპების განხორციელების ინსტრუქციები.

სამეცნიერო ჟურნალის საიტის შექმნის საუკეთესო საშუალებად მიჩნეულ იქნა სპეციალიზებული პლატფორმის - Open Journal Systems-ს (OJS) გამოყენება. ამ სისტემის პირველი ვერსია შემუშავდა 2002 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის ჯგუფის Public Knowledge Project (PKP)-ის მიერ ფონდების Social Sciences and Humanities Research Council of Canada, Max Bell Foundation, Pacific Press Endowment და MacArthur Foundation მხარდაჭერით. PKP-ის მიერ სისტემის რეგულარული სრულყოფა მიმდინარეობს Canadian Center for Studies in Publishing-ის და Simon Fraser University Library-ის მონაწილეობით. ამჟამად ინერგება სისტემის მე-3 ვერსია.

OJS სისტემა შესაძლებელია უფასოდ ჩაიტვირთოს ნებისმიერ ვებ-სერვერზე და გამოყენებულ იქნას გამოცემების შექმნისა და გავრცელების მიზნით.

OJS აკმაყოფილებს სამეცნიერო ჟურნალის საიტის მიმართ წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს. ქვემოთ მოცემულია ამ სისტემის შესაძლებლობები და შესაბამისობა ელექტრონული ჟურნალის საიტის ინფრასტრუქტურის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან.

ზოგადი მოთხოვნები სამეცნიერო ჟურნალის საიტის ინფრასტრუქტურის მიმართ		OJS სისტემის შესაძლებლობები	
ჟურნალის საიტის მთავარ გვერდზე უნდა ჩანდეს ახალი ნომერი, გამოშვებების არქივი, ავტორთა საძიებელი, რუბრიკების ჩამონათვალი		არის	
„ახალი ნომრის“ გამოძახებისას უნდა ჩანდეს ნომრის აღწერილობა და შინაარსი	„ნომრების არქივის“ გამოძახებისას უნდა იძებნებოდეს ჟურნალის ნომერი, მისი აღწერილობა და შინაარსი	არის	არის
სტატიის დასახელების გამოძახებისას უნდა ჩანდეს ზუსტი მონაცემები სტატიის შესახებ და ტექსტი, თუ ის ხელმისაწვდომია		არის	
სტატიის შესახებ მონაცემებში ავტორის გვარის გამოძახებისას უნდა ჩანდეს მონაცემები ავტორის შესახებ		არ ჩანს, ავტორის შესახებ მონაცემები ჩანს მხოლოდ ბლოკში „ჩვენს შესახებ“, რისთვისაც საჭიროა თითოეული ავტორის წინასწარი	

	რეგისტრაცია.
გვერდზე, სადაც მოცემულია მონაცემები ავტორის შესახებ, უნდა ჩანდეს ჟურნალის ყველა ნომერში გამოქვეყნებული მისი სტატიების ჩამონათვალი, რომელთა ნახვა უნდა იყოს შესაძლებელი.	არ არის, მაგრამ საძიებელ ბლოკში „ავტორთა მიხედვით“ ავტორის გვარის გამოძახებისას ჩანს მისი სტატიების ჩამონათვალი.
ავტორის სტატიების ჩამონათვალში კონკრეტული სტატიის გამოძახებისას უნდა ჩანდეს მონაცემები ამ სტატიის შესახებ.	არის ჩამონათვალში ბლოკში „ავტორთა მიხედვით“.
„რუბრიკების ჩამონათვალის“ გამოძახებისას უნდა ჩანდეს ჟურნალის ყველა გამოშვების ყველა რუბრიკის ჩამონათვალი, რომელთა ნახვა უნდა იყოს შესაძლებელი.	არის
კონკრეტული რუბრიკის გამოძახებისას უნდა ჩანდეს ჟურნალის ყველა ნომერში გამოქვეყნებული ამ რუბრიკის სტატიებისა და მათი ავტორების ჩამონათვალი.	არის
კონკრეტული სტატიის გამოძახებისას უნდა ჩანდეს მონაცემები სტატიის შესახებ, ავტორის გვარის გამოძახებისას - მონაცემები ავტორის შესახებ.	იძებნება მონაცემები სტატიის შესახებ, მაგრამ ავტორის გვარი არ იხსნება.
„ავტორთა საძიებლის“ გამოძახებისას უნდა იხსნებოდეს ავტორთა ჩამონათვალი ალფავიტის მიხედვით და ჟურნალის ყველა ნომერში გამოქვეყნებული მათი სტატიების ჩამონათვალი.	არის ბლოკში „დათვალიერება“ მინიშნება „ავტორების მიხედვით“.
უნდა იყოს ქრონოლოგიურად დალაგებული გამოქვეყნებული სტატიების ჩამონათვალი	არ არის

როგორც ცხრილიდან ჩანს, სისტემა სრულყოფილად არ პასუხობს ყველა მოთხოვნას, მაგრამ ის არის სწრაფი და ხელმისაწვდომი სამეცნიერო ჟურნალის საიტის შესაქმნელად.

შემუშავებულ იქნა OJS სისტემაში ელექტრონული ჟურნალის შექმნისა და პუბლიკაციის პროცესის ეტაპების განხორციელების ინსტრუქციები:

- პროგრამის ჩატვირთვის ინსტრუქცია;
- ჟურნალის ახალი ნომრის შექმნის ინსტრუქცია;
- სტატიის ავტორის, რედაქტორის და მკითხველის რეგისტრაციის ინსტრუქცია;
- ინსტრუქცია სტატიის განთავსებისათვის;
- უკვე გამოქვეყნებული სტატიის წაშლის ინსტრუქცია.

აღნიშნული ინსტრუქციები რეალიზებულ იქნა საერთაშორისო საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს საინჟინრო სიახლენი (GEN)“-ს მაგალითზე. 2019 წელს გათვალისწინებულია საქართველოს რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსიის შექმნა OJS სისტემაში.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	პროექტის დაწყების და დამთავრების	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
---	--	----------------------------------	--

	მითითებით	წლები	
1	2	3	4
1	<p>მიმართულება II. სამეცნიერო და ინოვაციური სფეროების მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების შეფასება სტატისტიკურ-მათემატიკური მოდელების მეთოდების გამოყენებით</p> <p>1.1. GII (Global Innovation Index) ინდიკატორის მონაცემთა ბაზის სრულყოფა</p> <p>1.2. საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების პოზიციონირება და შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში</p> <p>1.3. ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მოდელების შემუშავება და ანალიზი მათემატიკური სტატისტიკური და რიცხვითი მოდელების მეთოდებით.</p>		<p>ს. გოგომე - ხელმძღვანელი</p> <p>ნ. შოთაშვილი - შემსრულებელი</p> <p>ს. ქობულაშვილი - შემსრულებელი</p>
<p>1.1. ამ ქვემიმართულების ფარგლებში დადგინდა, რომ INSEAD-მა დაიწყო ეროვნული ინოვაციური სისტემების (NIS) მონაცემთა საჯარო გამოქვეყნება ელექტრონული ფორმით. ამჟამად გამოქვეყნებულია 2013-2018 წლების მონაცემები. ამ მონაცემების ინტეგრირებით 2011 და 2012 წლის მონაცემებთან რაც ჩვენს მიერ იქნა განხორციელებული ბეჭდური გამოცემების საფუძველზე განხორციელდება მომავალ წელს.</p> <p>1.2. განხორციელდა ეროვნული ინოვაციური სისტემების (NIS) მონაცემთა განახლებული ბაზის მონაცემთა წინასწარი ანალიზი საქართველოს პოზიციონირებისათვის. შედეგები გამოქვეყნებისთვის მომზადდება 2020 წლისთვის.</p> <p>1.3. ამ ქვემიმართულების ფარგლებში განხორციელდა ეროვნული ინოვაციური სისტემის (NIS) აქტიური ანალიზი. ინოვაციური პროცესების ხელშეწყობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის. ამასთანავე ცნობილია, რომ ინოვაციური საქმიანობა წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ გარკვეული ხელშეწყობი პირობების არსებობისას ანუ, სხვა სიტყვებით, ეფექტურად ფუნქციონირებადი ეროვნული ინოვაციური სისტემის (NIS) ფარგლებში. NIS განსაზღვრავს ქვეყნის ინოვაციურ შესაძლებლობებს და იგი წარმოგვიდგება სოციალურ-ეკონომიკურ სისტემად, რომელშიც პარალელურად ფუნქციონირებენ და ურთიერთქმედებენ სხვადასხვა სუბიექტები, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები. ამასთანავე NIS იყენებს ქვეყნის ფარგლებში არსებულ ყველა რესურსს, ახორციელებს ცოდნის გენერაციას, უზრუნველყოფს ცოდნის გავრცელებას და ინოვაციების უტილიზაციას. უნდა აღინიშნოს ამასთანავე, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მცირე ყურადღება ეთმობა ქვეყნების NIS ფუნქციონირების დეტერმინატების შესწავლას. შესაძლოა, ამ მიზნის მისაღწევი შედარებით მარტივი გზა NIS-ის სტრუქტურირებული წარმოდგენაა. კერძოდ, სავსებით ბუნებრივია ვიგულისხმობთ, რომ არსებობს NIS-ის გარკვეული „საბაზისო“ ან „ქვაკუთხედური“ ტიპები და ყოველი კონკრეტული NIS შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ამ „საბაზისო/ქვაკუთხედი“ NIS-ების „მიქსტურა“. ამგვარი წარმოდგენები შესაძლოა გამარტივებულად ინტერპრეტირებულ იქნეს შემდეგნაირად: „საბაზისო/“ქვაკუთხედური“ ტიპის NIS-ის წონა</p>			

მოცემულ NIS-ში (ანუ მიქსტურაში) შეესაბამება ამ „საბაზისო“/„ქვაკუთხედური“ ტიპის NIS-ის „მხარდამჭერებს“ მოცემულ საზოგადოებაში. შევნიშნოთ აგრეთვე, რომ საზოგადოდ „საბაზისო“/„ქვაკუთხედური“ ტიპის NIS-ები სავალდებულო არაა რომ რეალობაში დაიმზირებოდეს, ისინი შეიძლება წარმოადგენენ გარკვეულ „წარმოსახვით“ ან „იდეალურ“ NIS-ებსაც. წინამდებარე კვლევის მიზანია მოახდინოს იდენტიფიცირება „საბაზისო“/„ქვაკუთხედური“ ტიპის NIS-ისა, რომლებიც დღევანდელ რეალობას შეესაბამებიან და წარმოადგინოს არსებული NIS-ები როგორც შესაბამისი „მიქსტურები“. კვლევის მიმდინარე ეტაპზე შეირჩა შესაბამისი ინსტრუმენტარი - სტატისტიკური ანალიზის სპეციალური ტექნიკა - „აექტიპების ანალიზი“ (იხ. Cutler A., Breiman L. (1994). “Archetypal Analysis”. Technometrics, 36(4), pp. 338–347) და რელევანტურ მონაცემთა ერთობლიობა GII (Global Innovation Index) ინდექსის მონაცემები ქვეინდექსების (პილარების) დონეზე, რომლებიც ახასიათებენ/წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნების NIS-ებს როგორც გარკვეულ 7-განზომილებიან ვექტორებს (იხ. INSEAD. Global innovation index 2011; Global innovation index 2012; Global innovation index 2013; Global innovation index 2). გაანგარიშებები იწარმოებს ენა R-ის გარემოში. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა აგრეთვე საცდელი გაანგარიშებები. მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია სტატიაში: Gogodze J., 2018. National Innovation Systems Archetypal Analysis, American Journal of Theoretical and Applied Statistics, Vol. 7, No. 6, 2018, pp. 215-221, DOI: 10.11648/j.ajtas.20180706.13.

#	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	<p>მიმართულება III. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება მეცნიერებათმზომელობის (scientometrics) მეთოდების გამოყენებით.</p> <p>ინოვაციური პროექტების პერსპექტიულობის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება Web of Science (Core Collection) სისტემის და საპატენტო ინფორმაციის საერთაშორისო მონაცემთა ბაზების DERWENT Innovation, Derwent World Patent Index საფუძველზე, Clarivate Analytics-ის ანალიტიკური სისტემის გამოყენებით.</p>	2018-2020 წწ.	<p>ლ. ჩოხანიანი - ხელმძღვანელი ფ. წოწკოლაური - შემსრულებელი ნ. ვასაძე - შემსრულებელი მ. ლებედევა - შემსრულებელი ა. ბერიძე - შემსრულებელი</p>

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის ინფორმაციულ საფუძველს Thomson Reuters Web of Science-ის და ქართულ რეფერატული ჟურნალის (ქრუ) პუბლიკაციების მონაცემთა ბაზებთან ერთად წარმოადგენდა Essential Science Indicators (ESI) ქვესისტემასთან ერთად ტექინფორმში შეიქმნილი მაღალრეიტინგულ ჟურნალებში 1960-2017 წლების პერიოდში გამოქვეყნებული ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციების მონაცემთა ბაზა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ცალკეული მეცნიერებისთვის და სამეცნიერო კოლექტივებისათვის ტექინფორმში 2016-17 წლებში შემუშავებული ციტირების ეფექტური ინდექსები, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერების ცალკეული სფეროების მიხედვით პუბლიკაციების მსოფლიო ნაკადების

ციტირების სტატისტიკურ მონაცემებს. ეფექტური ინდექსებისათვის მიღებულ იქნა ანალიზური გამოსახულებები, და შემუშავდა საქართველოს მეცნიერების მეცნიერებათმზომელობის მახასიათებლების გაანგარიშების მეთოდიკა.

მიღებული იქნა კონკრეტული შედეგები, რომელიც ასახავს საქართველოს მეცნიერების ცალკეული სფეროების რაოდენობრივ მახასიათებლებს ESI რუბრიკატორის შესაბამისად. ამასთან ერთად შემდგომში ქართული სამეცნიერო პერიოდიკის დახასიათებისათვის შემოთავაზებულია PKP OJS სისტემის გამოყენება.

კვლევითი საქმიანობების აქტივობების დახასიათებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკურ მონაცემებზე სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების ინოვაციური პოტენციალის შეფასებას. შეფასებები განხორციელდა საპატენტო მონაცემთა ბაზებში ასახული კვლევითი პროექტების შედეგების და თემატიკის შესწავლის საფუძველზე, რისთვისაც გამოყენებულ იქნა Clarivate Analytics ინსტრუმენტის ანალიტიკური შესაძლებლობები.

Clarivate Analytics ფლობს Web of Science-ის საძიებო პლატფორმას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ WOS(core collection)-ის ტრადიციული მონაცემთა ბაზების გარდა სისტემაში დამატებით ჩართულია მთელი რიგი მონაცემთა ბაზები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საპატენტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზები - Derwent Innovation, Derwent World Patents Index. ეს მონაცემთა ბაზები მოიცავს 120 მლნ-მდე საპატენტო დოკუმენტების აღწერებს.

Clarivate Analytics-ის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საპატენტო მონაცემების ძიების და ანალიზის შესაძლებლობები. შესაძლებელი გახდა საპატენტო მონაცემთა ბაზებში არსებული ფასეული და მნიშვნელოვანი მეტამონაცემების დამატება:

- საპატენტო დოკუმენტების გაფართოებული დასახელება, რაც სრულად აღწერს გამოგონებას და მის სიახლეს;
- რეფერატი ინგლისურ ენაზე;
- საკვანძო სიტყვები.

სამეცნიერო ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში გამოყენებული კლასიფიკატორების სისტემასა და საპატენტო დოკუმენტების მონაცემთა ბაზებში გამოყენებულ კლასიფიკატორს International Patent Classification შორის განსხვავების გამო, მეტამონაცემების დამატებითი ელემენტების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კერძოდ, Clarivate Analytics-ის ინსტრუმენტები შესაძლებლობას იძლევა საქართველოში შესრულებული კვლევითი სამუშაოების სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე მოძიებულ იქნეს რელევანტური უცხოური საპატენტო დოკუმენტები, აგრეთვე ქართული საპატენტო პუბლიკაციების ციტირება.

ინფორმაციის ძიება და ანალიზი წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შინაარსის აღმწერი ანოტაციების და საკვანძო სიტყვების საფუძველზე. ამიტომ პროექტის შესახებ ხარისხიანი და სანდო ინფორმაციის არსებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწორი ანალიტიკური შედეგების მიღებაში.

ჩვენი მოსაზრებით, მიზანშეწონილი იქნებოდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების აღმწერი ანოტაციების და საკვანძო სიტყვების შემოწმების მეთოდიკის მომზადება და შემუშავება. საჭიროა ინფორმაციის შემოწმება, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს ტექნიკურ სამეცნიერო პროექტების მონაცემთა ბაზებში.

საანგარიშო პერიოდში ტექნიკურ მონაცემთა ბაზებში კვლევები ეფუძნებოდა Derwent World Patents Index (DWPI) და Derwent Patent Citation Index (DPCI) მონაცემთა ბაზებს.

გამოკვლეულ იქნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ცალკეული R&D-ის

ამსახველი საპატენტო დოკუმენტების ნაკადი.

სასურველია ჩატარდეს Clarivate Analytics "Visualisation & Analytical Tools" ქვესისტემის მიხედვით ექსპერიმენტები, რომელიც მოიცავს შემდეგ შესაძლებლობებს:

- Dashboards and Charts to visualise your results set
- Citation Maps of cited and citing patents
- ThemeScape Maps – Analyse the technology landscape
- Text Clustering - group records into related sets.

მაგრამ სამწუხაროდ ამჟამად WEB of SCIENCE-ის ამ ქვესისტემისადმი წვდომა საქართველოში არ არსებობს.

#	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	<p>მიმართულება IV. აგრარული სფეროს მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის საინფორმაციო-ანალიზური სისტემის ფორმირება (განვითარება).</p> <p>აგრარული სფეროს საინფორმაციო-ანალიზური სისტემის ქართული სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო დონეზე წვდომის შესაძლებლობის გაფართოება CIARD RING-ის, AGRIS-ის და სხვ. საერთაშორისო საინფორმაციო სისტემების მეშვეობით.</p>	2015-2019 წწ.	<p>ნ. მახვილაძე - ხელმძღვანელი ლ. ჩობანიანი - შემსრულებელი მ. ლებედევა - შემსრულებელი ე. პავლოვიჩი - შემსრულებელი ც. დოსმიშვილი - შემსრულებელი ა. ბერიძე - შემსრულებელი ნ. ჯავახაძე - შემსრულებელი</p>
<p>გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p>აგროსფეროს განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის სფეროს ინფორმაციის გენერირებისა და გავრცელების ამოცანების გადაჭრას. ამ მიზნით არსებითია ქვეყანაში თანამედროვეში შიდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ქსელის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უახლესი ინფორმაციის ბოლო მომხმარებლამდე მიტანა. ეს მომხმარებლებია აგროსფეროს მეცნიერები, სპეციალისტები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მონაწილე.</p>			
<p>ტექნიკორმმა FAO-ს მეთოდოლოგიისა და სტანდარტების გამოყენებით მოამზადა, დაამუშავა და მიაწოდა სამეცნიერო ინფორმაციის ნაკადი აგროსფეროს სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული სისტემებს, ხოლო საერთაშორისო ქსელებსა და ბაზებში განთავსებული ინფორმაცია გამოიყენა საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ინფორმირებისათვის ქვეყნის შიდა საინფორმაციო ქსელის საშუალებით.</p>			
<p>ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო შრომების ექსპორტირება FAO AGRIS-ის სისტემაში.</p>			
<p>აგრარული საინფორმაციო სისტემა ეფუძნება FAO CIARD-ის დებულებებსა და სტანდარტების გამოყენებით ქვეყნის მეცნიერთა და სპეციალისტთა კვლევების შედეგების გენერირებას და</p>			

სტანდარტიზებული ინფორმაციის გადაცემას საერთაშორისო მონაცემთა ბაზებისათვის.

FAO-თან თანამშრომლობის ფარგლებში გრძელდება ინფორმაციის მიწოდება საქართველოში შესრულებული სამეცნიერო შრომების შესახებ სოფლის მეურნეობის საერთაშორისო საინფორმაციო სისტემაში AGRIS-ი განსათავსებლად.

საერთოდ AGRIS-ის ბაზაში მასალების განსათავსებლად ტექნიფორმი იყენებდა მასალების მომზადების სპეციალიზებულ სისტემას AGRISMetaMarker. AGRIS-ის დოკუმენტების შეგროვების სისტემის რეორგანიზაციის გამო, FAO AGRIS-ის ჯგუფის რეკომენდაციით დამუშავდა ახალი მეთოდიკა ინფორმაციის XML ფაილის შესაქმნელად. ეს მეთოდიკა შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აკმაყოფილებს დოკუმენტის Meaningful Bibliographic Metadata (M2B) recommendations მოთხოვნებს.

ხსენებული მეთოდიკის გამოყენებით AGRIS-ის ბაზაში გადაგზავნილი მასალების (სამეცნიერო თემების) სრული ტექსტები, AGRIS-ის მოთხოვნების შესაბამისად, ინახება ტექნიფორმის საიტზე ბიბლიოთეკაში techinformi.ge/agris1 და დღეისთვის შეადგენს 75 დოკუმენტს.

ქართული ტერმინების წარდგენა FAO AGROVOC-ში. FAO-სთან შეთანხმების საფუძველზე ტექნიფორმში გრძელდება მუშაობა მრავალენოვანი თეზაურუსის AGROVOC-ის ქართულენოვანი ვერსიის შევსებაზე (ამჟამად არსებობს 32 ენაზე), რომელიც შეიცავს FAO-ს საქმიანობის ყველა სფეროს (სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, სასურსათო უსაფრთხოება და ა.შ.). თეზაურუსი შეიცავს ასევე ცხოველებისა და მცენარეების სისტემატიკას, ბიოლოგიურ ცნებებს და ქვეყნების, მდინარეების, ტბებისა და სხვა გეოგრაფიულ დასახელებებს. დღეისათვის AGROVOC შეიცავს 40 ათას ტერმინს ინგლისურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ AGROVOC არის მუდმივად აქტუალიზებული ლექსიკონი.

ტექნიფორმი AGROVOC-ის ქართულენოვან ტერმინებს იყენებს FAO-ს სადეპოზიტო ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში დოკუმენტების ინდექსირებასა და ძიებაში. თეზაურუსის ქართულენოვანი ტერმინოლოგია თანხმდება შესაბამისი სფეროს სპეციალისტებთან და ენათმეცნიერების ინსტიტუტთან.

2018 წელს online-რეჟიმში ტერმინების რედაქტირებისა და შეყვანისათვის შესწავლილი იყო ახალი ინსტრუმენტი VocBench3, რომელმაც შეცვალა წინანდელი VocBench2.

VocBench3-ის მეშვეობით 2018 წელს AGROVOC-ის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულია 1800 ქართული ტერმინი. ამჟამად თეზაურუსი შეიცავს 3078 ქართულ დესკრიპტორს და 1283 ასკრიპტორს, სულ 4361 ტერმინს. AGROVOC-ის ქართული სეგმენტი განთავსებულია საიტზე: <http://agrovoc.uniroma2.it/agrovoc/agrovoc/en/cIng=ka>.

საერთაშორისო საინფორმაციო ქსელების რესურსების გამოყენება, სემინარის ორგანიზება

2018 წლის 20-21 ნოემბერს ტექნიფორმმა თსუ-ს რ. აგლადის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტთან ერთად ჩაატარა სემინარი/სწავლება, სადაც წარმოდგენილი იყო ამერიკის ქიმიის საზოგადოების ქიმიური რეფერატების სერვისის (CAS) საინფორმაციო რესურსის SciFinder-ის პრეზენტაცია.

სემინარს ესწრებოდნენ აგროსაინფორმაციო ქსელის მომხმარებლები - საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერები, სტუდენტები, სამეცნიერო გამოცემების რედაქტორები, ქიმიისა და მისი მონათესავე დარგების სპეციალისტები სოფლის მეურნეობის, აგროქიმიის, ბიოქიმიის, ქიმიის და სხვა სფეროებიდან. სემინარზე გაიმართა SciFinder-ის სერვისის დემონსტრირება კონკრეტულ მაგალითებზე: ბაზაში პუბლიკაციების, პატენტების, ქიმიური ნაერთებისა და რეაქციების ძიება.

მომზადდა და გამოიცა პოლითემატური რეფერატული ჟურნალი, რომელშიც ერთი რუბრიკა ეძღვნება აგრარულ სფეროს, სადაც აღწერილია საქართველოში გამოცემული უახლესი პუბლიკაციების

რეფერატები, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მიმდინარეობს FAO-ს სადეპოზიტო ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის პერმანენტული განახლება და აგროსაინფორმაციო ქსელის მომხმარებელთა ინფორმირება სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენის გავრცელების საშუალებით.

ჩატარდა FAO-ს ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკორმის გამოცემების (მიმოხილვების) არქივის (1977-1990 წწ.) რეგისტრაცია და აციფვრა.

ტექნიკორმი პერმანენტულად ავითარებს სოფლის მეურნეობის სფეროს საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.